ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 367

8 ნოემბერი
"---"---------- 2019 წ.

ქ. თბილისი

ქალაქ თბილისში, დაბა კოჯორში, სატყეოს ქუჩა №4-ში (საკადასტრო კოდი: №81.01.06.519.01.003) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 75-ე მუხლის „დ.ა" ქვეპუნქტის 118[1] მუხლის პირველი და მესამე პუნქტების და „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 12 აგვისტოს №21-85 დადგენილებით დამტკიცებული წესის პირველი მუხლის მე-3 პუნქტის, მე-2 მუხლის პირველი და მე-6 პუნქტის საფუძველზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. მიეცეს თანხმობა, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას, "ქალაქ თბილისში, დაბა კოჯორში, სატყეოს ქუჩა №4-ში (საკადასტრო კოდი: №81.01.06.519.01.003) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე "ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2019 წლის 15 ოქტომბრის №19.1091.1381 განკარგულებით გათვალისწინებული უძრავი ქონების: "ქალაქ თბილისში, დაბა კოჯორში, სატყეოს ქუჩა №4, სართული 1, ბინა №3, 58.23 კვ.მ ფართის (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი: №81.01.06.519.01.003) პირდაპირი განკარგვის ფორმით სიმბოლურ ფასად 1 (ერთი) ლარად პრივატიზებაზე, მოქალაქე მაყვალა დანელიასთან (პ/ნ 35001036366) გასაფორმებელი, ზემოაღნიშნული განკარგულების დანართით წარმოდგენილი ხელშეკრულების პროექტის შესაბამისად.

2. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ., №6).

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძე